



შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

21 დეკემბერი 2021 წელი

N 53/36

ეგზ.:N1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და
აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	12
	დანართები	31

ტერმინები და შემოკლებები

მერია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

შრომის ანაზღაურება**დასაქმებულთა ნამუშევარი დღეების აღრიცხვისა და შტატგარეშედ დასაქმებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გარკვეულ შემთხვევაში, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები მიიღებოდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ხოლო მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. აღნიშნული გარემოება შრომის ანაზღაურების სახით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკებს შეიცავს.

საქონელი და მომსახურება**წარმომადგენლობით და ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**

წარმომადგენლობითი ხარჯების მართვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სუსტი შიდა კონტროლის პირობებში, არარაციონალურად გახარჯულია საწვავი. არ არის დაცული საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 20.916 ლარამდე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. აღნიშნული ავტოპარკის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებაა და ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას.

საკრებულოს წევრების შრომის ანაზღაურება**საკრებულოს წევრების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით გასცა სულ 107.051 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები**სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება განისაზღვრა ბაზრის არასათანადო კვლევის საფუძველზე, რის შედეგად, მერიამ არანაკლებ 22.408 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა. ამასთანავე, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების

შესრულების სათანადო დადასტურებას და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს შეიცავს.

სარეზერვო ფონდი

სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაწეული დანახარჯების დაფინანსების დამტკიცებული წესის დარღვევისა და არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტების მიუხედავად, მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმებში არაფერია აღნიშნული მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტების შესახებ, რაც წარმოშობს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს.

სესხის მომსახურება

სასესხო ვალდებულების მომსახურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, როგორც პროექტების განმახორციელებელმა ორგანომ, ვერ უზრუნველყო დაგეგმილი პროექტების დადგენილ ვადებში შესრულება, რის გამოც სესხის სახით გამოყოფილი სახსრები არ იქნა ათვისებული და, შესაბამისად, კრედიტის მომსახურების ხარჯები გაიზარდა. აღნიშნული სესხების ფარგლებში, 2019-2020 წლებში ჯამურად გაწეულია 290.371 ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

ძირითადი აქტივების აღრიცხვა

ძირითადი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვას, სრულად არ ტარდება ინვენტარიზაცია, რაც ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული 68,8 მლნ ლარის შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით, არსებული შეუთანხმებელი საკითხები უარყოფითად მოქმედებს აქტივების მოვლასა და სათანადო ექსპლუატაციაზე, რამაც შესაძლოა დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვა განაპირობოს.

ქონების იჯარით გაცემა

ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერიის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საიჯარო გადასახადისა და პირგასამტეხლოს სახით გადაუხდელია 2.450.249 ლარი, რომელიც ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. დიდი ოდენობით გადაუხდელი საიჯარო გადასახადის აღრიცხვა თანხები კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს შესაძლებლობას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება არამართლზომიერად იყოს გამოყენებული ან/და არ იქნეს გადახდილი საიჯარო გადასახადი.

**მშენებლობის სახელმწიფო
ზედამხედველობა****მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში არსებული ხარვეზები**

მერიის მიერ უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება, რაც ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

რეკომენდაციები**ქალაქ ბათუმის****მუნიციპალიტეტის მერიას**

რეკომენდაცია №1. შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც მერიისა და საკრებულოს საჭიროებების სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს მუშაკთა ოპტიმალურ რაოდენობას. ამასთანავე, საბიუჯეტო რესურსის რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ აღირიცხოს დასაქმებულთა ნამუშევარი საათები და აღრიცხვის სისტემის მონაცემების მიხედვით განხორციელდეს შრომის ანაზღაურების დარიცხვა.

რეკომენდაცია №2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც წარმომადგენლობითი და სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს წარმომადგენლობით ღონისძიებებში მონაწილეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ რაოდენობას, ასევე უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №3. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად, ხარჯები ანაზღაურდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.

რეკომენდაცია №4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და არაობიექტური გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილად განისაზღვროს ჩასატარებელი შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები, ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები.

რეკომენდაცია №5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, შიდა კონტროლის დამატებითი მექანიზმების შემუშავებითა და დაინერგვით, უზრუნველყოს ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების დანიშნულებისამებრ, დაფინანსების დადგენილი წესის დაცვით გამოყენება. ამასთანავე, დახმარების თხოვნაზე სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკების შემცირების მიზნით, განცხადებები განიხილოს კომისიური წესით და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

რეკომენდაცია №6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრედიტო რესურსით მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა დროულად უზრუნველყოს პროექტის შესრულების ხელის შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, ხელი შეუწყოს მოზიდული რესურსების დროულ და ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვას; აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ჩაატაროს სრული ინვენტარიზაცია. ამასთანავე, უმოკლეს ვადაში მოგვარდეს სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით არსებული შეუთანხმებელი საკითხები და გამოვლინდნენ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები, რათა აქტივები დადგენილი ვადით ეფექტიანად იყოს გამოყენებული.

რეკომენდაცია №8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გააძლიეროს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობას, შეუსრულებლობის ფაქტების დროულ გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, ბუღალტრულად აღრიცხოს საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახდელები და ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო, ასევე გამოიყენოს ყველა სამართლებრივი საშუალება დავალიანებების შესაძლო მოკლე ვადებში დაფარვის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია №9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უნებართვო მშენებლობის პრევენციას, ასევე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების დროულ გამოვლენას და სათანადო რეაგირებას; ამასთანავე, შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო და შეჩერებული მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების (კოდი: 01.00) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასა და საჯარო ფინანსების ჯეროვანი მართვის პრინციპებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2019-2020 წლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების (კოდი: 01.00) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის დადგენილება №211 „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №01-133/ნ „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- სასესიო ხელშეკრულებები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- დოკუმენტური შემოწმება;
- ფიზიკური დათვალიერება;
- ინტერვიუები;
- დაკვირვება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ადგილობრივი ბიუჯეტით წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებამ 35.508.466 ლარი შეადგინა.

ცხრილი №1. საბიუჯეტო გეგმის შესრულების შესახებ (ლარი)

დასახელება	პერიოდი	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
ხარჯები	2019	12.478.406	11.367.244	1.111.162	91,1
	2020	7.553.053	6.317.303	1.235.750	83,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	2019	68.000	54.788	13.212	80,6
	2020	78.700	27.254	51.446	34,6
ვალდებულების კლება	2019	16.121.500	15.808.810	312.690	98,1
	2020	1.946.800	1.933.067	13.733	99,3
ჯამი:	2019	28.667.906	27.230.842	1.437.064	95,0
	2020	9.578.553	8.277.624	1.300.929	86,4

საერთო მონაცემების მიხედვით, ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის 2019 წლის საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია 95%-ით, ანუ გეგმის შესრულებას 1.437.064 ლარი დააკლდა. საბიუჯეტო გეგმის შესრულებლობა „ხარჯების“ მუხლით 1.111.162 ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მიღებული ეკონომიისა და რიგი პროგრამების დაბალი შესრულების მაჩვენებლითაა გამოწვეული, კერძოდ:

- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურების საბიუჯეტო გეგმის შესრულებას 947.307 ლარი დააკლდა (გეგმა – 21.123.200 ლარი, ფაქტი – 20.175.893 ლარი), რაც

გამოყოფილი სესხის ათვისების გეგმური მაჩვენებლის შეუსრულებლობის შედეგია;

- სარეზერვო ფონდში ათვისებული დარჩა 53.494 ლარი, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში – 47.187 ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 99,7%-ია. საბიუჯეტო გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

2020 წლის გეგმა შესრულებულია 86,4%-ით, რაც ძირითადად „ხარჯების“ მუხლით ათვისებულმა 1.235.750 ლარმა განაპირობა. აღნიშნული საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებულ შეზღუდვებს უკავშირდება.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის¹ შესაბამისად, ხელფასის დარიცხვის საფუძველი იყო ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები. ამასთანავე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, პირს შეიძლება მიენიჭოს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.² აქედან გამომდინარე, დაქირავებული პირების რაოდენობა უნდა იყოს გონივრული და დასტურდებოდეს მათი საჭიროება/აუცილებლობა, ნათელი უნდა იყოს მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოები და შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯი – შესრულებული სამუშაოს ადეკვატური.უ

2.1.1 დასაქმებულთა ნამუშევარი დღეების აღრიცხვის ნაკლოვანებები

გარემოება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამისად, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების კუთხით, შრომის ანაზღაურების ფონდი ჯამში – 9.169.700 ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით გახარჯულია 8.416.110 ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 91,8%-ია. მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოს და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესაბამისობის დადგენის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები არ ფუნქციონირებს. კერძოდ, მერიის სამივე ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟებულია ტურნიკეტები, თუმცა მათი გაუმართაობის გამო, თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და მიმოსვლა არ აღირიცხება. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ტურნიკეტების სისტემის აღდგენა იგეგმებოდა ადამიანური რესურსების მართვის პროგრამის მონაცემთა ბაზასთან კავშირის უზრუნველყოფით, რაც ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიასთან დაკავშირებით, თანამშრომელთა უფლებამოსილების დისტანციურად განხორციელების გამო ვერ მოხერხდა. ხელფასების დარიცხვისას გამოიყენება სტრუქტურული ერთეულების მიერ შედგენილი ყოველთვიური სახელფასო ტაბელები, თუმცა აუდიტის პერიოდში მათი შედგენის დოკუმენტურად დადასტურებული საფუძვლები ვერ წარმოადგინეს.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 14.

² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ვ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულის გამო აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება შრომის ანაზღაურების ხარჯისა და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესადარისობის შესახებ.

2.1.2 შტატგარეშედ დასაქმებასთან დაკავში- რებული ნაკლოვანებები

გარემოება: აუდიტის პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია სულ 1.474.674 ლარი, მათ შორის, თანამდებობრივი სარგო – 1.426.468 ლარი, პრემია/ჯილდო – 46.806 ლარი და დანამატი – 1.400 ლარი. აღსანიშნავია, რომ პრემია და დანამატი გაცემულია 2019 წელს, თუმცა ნამუშევარი დროის აღრიცხვის გაუმართავი სისტემის გამო, ფაქტობრივად ვერ მოხერხდა შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების შესახებ. რიგ შემთხვევებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების დასაქმება ხორციელდებოდა მუდმივი ამოცანების შესასრულებლად. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინეს დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებას.

საკრებულოში შტატგარეშედ დასაქმებული პირების დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებები არ მოიცავდა დანიშნული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობებს ან/და დავალებებს და მიეთითებოდა მხოლოდ ზოგადი უფლება-მოვალეობები. მერიაში კი, რიგ შემთხვევებში, სახელშეკრულებო სამუშაო აღწერილობების ნაწილი მოიცავდა შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნული პირების მიერ შესასრულებელ ფუნქცია-მოვალეობებს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გარკვეულ შემთხვევაში, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები მიიღებოდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ხოლო მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. აღნიშნული გარემოება, შრომის ანაზღაურების სახით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკებს შეიცავს.

რეკომენდაცია

შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც მერიისა და საკრებულოს საჭიროებების სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს მუშაკთა ოპტიმალურ რაოდენობას. ამასთანავე, საბიუჯეტო რესურსის რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ აღირიცხოს დასაქმებულთა ნამუშევარი საათები და აღრიცხვის სისტემის მონაცემების გათვალისწინებით, განხორციელდეს შრომის ანაზღაურების დარიცხვა.

2.2 საქონელი და მომსახურება

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, საქონელი და მომსახურება მოიცავს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის, წარმომადგენლობითი, კვების, სამედიცინო, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ნივთების შეძენის, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის და სხვა დანარჩენ, მუხლთან – „საქონელი და მომსახურება“ დაკავშირებულ ხარჯებს. ამასთანავე, საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც აღწესსხავს სამეურნეო ოპერაციის შესრულების ფაქტს. პირველად საბუთებში უნდა აღინიშნოს შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, განზომილება (რაოდენობრივ და ღირებულებით გამოსახულებაში), სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, ოპერაციის ჩატარებისა და სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს ოპერაციის შინაარსიდან და მონაცემების ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებიდან.³

2.2.1 წარმომადგენლობითი ხარჯებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: აუდიტის პერიოდში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებიდან წარმომადგენლობითი ხარჯების სახით გახარჯულია სულ 84.781 ლარი. მათ შორის, 2019 წელს გახარჯულია 70.008 ლარი, ხოლო 2020 წელს – 14.773 ლარი. აღნიშნული ძირითადად მოიცავს რესტორნის, სასტუმროს, ტრანსპორტირების და საჩუქრების შესყიდვის ხარჯებს.

ცხრილი №2. 2019-2020 წლებში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (ლარი)

№	დასახელება	2019	2020	სულ
1.	სარესტორნო მომსახურება	22.862	0	22.862
2.	სატრანსპორტო მომსახურება	8.700	0	8.700
3.	სასტუმროს მომსახურება	10.139	3.160	13.299
4.	კვების პროდუქტები	12.838	9.260	22.098
5.	საჩუქრები	12.412	2.273	14.685
6.	სხვა ხარჯები	3.057	80	3.137
	ჯამი:	70.008	14.773	84.781

ფიქსირდება წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებული დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის ფაქტები. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც დელეგაციების ვიზიტებისა და ღონისძიებების ორგანიზების დროს არ არის აღრიცხული მონაწილე პირთა

³ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება, წარმომადგენლობითი ხარჯები (224) და „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება, მუხლი 7.

შემადგენლობის სახელობითი მონაცემები. შესაბამისად, შეუძლებელია ღონისძიების მონაწილე პირთა იდენტიფიცირება.

2.2.2 ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2019-2020 წლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საბიუჯეტო ასიგნებებიდან ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო (ფაქტობრივმა) ხარჯებმა შეადგინა 561.462 ლარი.

ცხრილი №3. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯების შესახებ (ლარი)

№	დასახელება	2019	2020	სულ
1	საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	149.178	101.507	250.684
2	მიმდინარე რემონტის ხარჯი	65.756	52.646	118.403
3	ექსპლუატაციის მოვლა-შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	14.471	8208	22.679
4	ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	11.583	158.113	169.696
	ჯამი:	240.988	320.474	561.462

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯების სტრუქტურაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 2020 წელს ტრანსპორტის დაქირავების ხარჯების მკვეთრი ზრდა, რაც 2019 წელთან შედარებით 146.530 ლარით მეტია. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ახალ კორონავირუსთან (COVID-19) ბრძოლის პრევენციის მიზნით, ბათუმში მოწყობილი საკარანტინო სივრცეებიდან მოქალაქეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა თანხა.

ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის რაციონალურ ხარჯვას. კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოვლინდა 65 შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირები არ იმყოფებოდნენ მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე ვერ იქნა წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი ავტომობილის ყოფნის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება. ამ პირობებში გახარჯულია 4043 ლარის ღირებულების⁴ 1980 ლიტრი საწვავი, რაც წარმოშობს საწვავის არამიზნობრივად ხარჯვისა და ტრანსპორტის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

⁴ საწვავის ღირებულება განისაზღვრა კონსოლიდირებული ტენდერით განსაზღვრული ფასების შესაბამისად.

ცხრილი №4. დასაბუთების გარეშე საწვავის ხარჯვის შესახებ

ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი	შემთხვევათა რაოდენობა	საწვავის რაოდენობა	საწვავის ღირებულება (ლარი)
DV822DV	2	73,0	165,0
DV790DV	3	75,0	127,0
DV716DV	20	735,0	1424,0
DV828DV	1	39,0	89,0
XX920GG	1	30,0	63,0
DK100MR	5	190,0	421,0
NPN-037	2	74,0	156,0
XX858XG	10	251,0	522,0
XX855XG	2	31,0	68,0
DH021HD	7	205,0	436,0
VZ553ZV	4	143,0	285,0
XX899XG	3	92,0	193,0
BE701BD	1	42,0	94,0
ჯამი:	61	1980,0	4043,0

გატარებული ღონისძიების შედეგად, არამიზნობრივად გახარჯული საწვავის ღირებულება, მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გადახდილია ბიუჯეტში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაყოფილია პერსონალურ (განპიროვნებულ) და მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებებად. თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიხედვით განსაზღვრულია საწვავის ლიმიტი, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული ავტომობილების რაოდენობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის რეკომენდაციები. კერძოდ, არსებული ფაქტობრივი მონაცემების შესაბამისად, მერიის კუთვნილი მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 2019 წელს – 9, ხოლო 2020 წელს 6 ერთეულით აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციით⁵ განსაზღვრულ სარეკომენდაციო მაჩვენებელს.

⁵ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

ცხრილი №5. ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის შესახებ

№	დასახელება	პერიოდი	საშტატო რიცხოვნება ⁶	ავტომანქანების რაოდენობა ⁷	განპიროვებული ავტომობილების რაოდენობა	სამორიგე ავტომობილების რაოდენობა	რეკომენდებული სამორიგე ავტომობილების რაოდენობა	სხვაობა
1	მერია	2019	189	21	5	16	7	9
		2020	170	17	5	12	6	6
2	საკრებულო	2019	44	14	13	1	4	-3
		2020	44	14	13	1	4	-3

მერიის მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, აუდიტის პერიოდში გაწეული დანახარჯების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო რეგულაციის გათვალისწინების პირობებში, 2019-2020 წლებში შესაძლებელი იქნებოდა, საშუალოდ, 20.916 ლარის საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

დასკვნა

წარმომადგენლობითი ხარჯების მართვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სუსტი შიდა კონტროლის პირობებში ფაქტობრივად არარაციონალურად გახარჯულია 4.043 ლარის ღირებულების საწვავი. არ არის დაცული საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 20.916 ლარამდე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. აღნიშნული ავტოპარკის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელის შემშლელი გარემოებაა და ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც წარმომადგენლობითი და სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს წარმომადგენლობით ღონისძიებებში მონაწილეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

2.3 საკრებულოს წევრების შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“⁸ შესაბამისად, მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან

⁶ დამტკიცებული საშტატო ერთეული შესაბამისი წლის 31 დეკემბრისთვის.

⁷ შესაბამისი წლის 31 დეკემბრისთვის.

⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

2.3.1 საკრებულოს წევრების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა: საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები. გაწეული ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის საფუძველზე.

გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებს 2019-2020 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ ჯამში – 107.051 ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრებზე გაწეული ხარჯების დასადასტურებლად. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები. აღნიშნული მიაწინებს, რომ თანხები დაუსაბუთებლადაა გაცემული, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალება და იდენტური ხარჯი.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით, გასცა სულ 107.051 ლარი.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და, შესაბამისად, ხარჯები ანაზღაურდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.

2.4 სახელმწიფო შესყიდვები

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს ბაზრის კვლევას, შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური პარამეტრების, მახასიათებლების ჩამოყალიბებას და სავარაუდო ღირებულების დადგენას. შემსყიდველმა შესყიდვის პროცესს ორგანიზება ისე უნდა გაუწიოს, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის მომსახურების შემენა.⁹

⁹ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ვ“ ქვეპუნქტი.

2.4.1 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: საქართველოს მასშტაბით, ახალ კორონავირუსთან (COVID -19) ბრძოლის პრევენციის მიზნით, ბათუმში მოწყობილი საკარანტინო სივრცეებიდან მოქალაქეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ორ შემთხვევაში¹⁰ გამოიყო 188.500 ლარი.¹¹ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, შპს „აჭარტრანსრეგულირებასთან“ გაფორმდა ორი ხელშეკრულება,¹² რომელთა შესაბამისად, მიმწოდებლის ვალდებულება იყო საკარანტინო ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქეების საცხოვრებელ ადგილამდე ტრანსპორტირება. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებების განსაზღვრის მიზნით, სატრანსპორტო მომსახურების სფეროში დასაქმებულ სამ¹³ იურიდიულ პირს გაეგზავნა მომსახურების ფასების წარმოდგენის მოთხოვნა. აუდიტის შედეგად დადგენილია, რომ მერიის მიერ 2020 წლის 4 თებერვალს, ანუ შპს „აჭარტრანსრეგულირებასთან“ პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი თვით ადრე გამოცხადებულ, წვევამდელების ტრანსპორტირების მომსახურების ტენდერში¹⁴ გამარჯვებულ პრეტენდენტთან¹⁵ ანალოგიური მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებით, ტრანსპორტირების საფასური 46%-ით ნაკლებია შპს „აჭარტრანსრეგულირებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებაზე. მერიის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ განმარტეს, რატომ არ იყო აღნიშნული პირი ფასების დადგენის პროცესში ჩართული, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, მხოლოდ თბილისის მიმართულებით განხორციელებული მომსახურების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა მუნიციპალიტეტს მიეღო 22.408 ლარის¹⁶ ეკონომია.

ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, ვერ დგინდება სატრანსპორტო მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეების რაოდენობა, ვინაობა და მათი საცხოვრებელ ადგილამდე ტრანსპორტირების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიანიშნებს და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს შეიცავს.

დასკვნა

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება ბაზრის არასათანდო კვლევის საფუძველზე განისაზღვრა, რის შედეგადაც მერიამ არანაკლებ 22.408 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა. ამასთანავე, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს შეიცავს.

¹⁰ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები: №298, 31.03.2020 და №321, 08.04.2020.

¹¹ აღნიშნული თანხიდან 36.990 ლარი დაბრუნებულია სარეზერვო ფონდის ანგარიშზე.

¹² ხელშეკრულება №73, 31.03.2020, ღირებულება - 50.000 ლარი და ხელშეკრულება №77, 08.04.2020, ღირებულება - 138.500 ლარი.

¹³ შპს „აჭარტრანსრეგულირება“, შპს „ავტოკლასი“, შპს „ევროტრანსი“.

¹⁴ NAT200000939. ხელშეკრულება №31, 04.02.2020.

¹⁵ ი/მ ზაალ კოსტავა.

¹⁶ თბილისის მიმართულებით შესრულებული მარშრუტების რაოდენობა 59* (შპს „აჭარტრანსრეგულირების“ მომსახურების ფასი - 820 ლარი, ი/მ ზაალ კოსტავას მომსახურების ფასი - 440,2 ლარი) = 22.408 ლარი.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და არაოპტიმალური გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები; ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს, განისაზღვროს ჩასატარებელი შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები, ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები.

2.5 სარეზერვო ფონდი

კრიტერიუმი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის №1861 ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს“ შემადგენლობა. ამავე ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა მუდმივმოქმედი საბჭოს საქმიანობის წესი, რომლის თანახმად მატერიალური დახმარება უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური კუთხით. ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ბენეფიციარები არიან: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომელთაც მინიჭებული აქვთ 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; უსახლკაროთა თავშესაფრის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, ასევე მოქალაქეები, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება შესაბამისი ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში, სერვისცენტრის მენეჯერ(ებ)ის მოკვლევის/დასკვნის საფუძველზე. გადაწყვეტილებას ბენეფიციართა მკურნალობის თანადაფინანსების ან დაფინანსების შესახებ იღებს საბჭო. დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტიური ხარჯის შესაბამისად, შემდეგი პროპორციებით:

- ✓ მკურნალობის ღირებულება – 1000 ლარამდე და 1000 ლარის ჩათვლით – 90%-ით;
- ✓ მკურნალობის ღირებულება – 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით – 80%-ით;
- ✓ მკურნალობის ღირებულება – 2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით – 70%-ით;
- ✓ მკურნალობის ღირებულება – 3001 ლარი და მეტი – 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 6000 ლარისა;
- ✓ სოციალური კუთხით სარეზერვო ფონდიდან ერთ პირზე გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

2.5.1 სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს საქმიანობის წესის“ დამტკიცების მიუხედავად, აუდიტის პერიოდში ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ბენეფიციართა მიერ გაწეული ხარჯების დაფინანსება განხორციელდა დაფინანსების წესის მოთხოვნების დარღვევით. ამასთანავე, ფიქსირდება არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები, რომელთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით. (იხ. დანართი №1)

- ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მოქალაქეების მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შეტანილი განცხადებების შერჩევითი შემოწმებით დადგენილია, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი დაფინანსების წესის შეუსაბამოდ, 4 შემთხვევაში გადახდილია 917 ლარი.¹⁷

- აღნიშნულთან ერთად არის შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მოქალაქეთა დახმარების თხოვნაზე უარყოფითი პასუხია გაცემული. აუდიტის პერიოდში მერიაში შეტანილი დახმარების თხოვნის 56 განცხადება არ დაკმაყოფილდა. ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული განცხადებების განხილვისა და მოქალაქეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი. ამასთანავე, ჩატარებული აუდიტით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში, განცხადებებთან დაკავშირებით მიღებულია სუბიექტური გადაწყვეტილებები, მაგალითად:

- 2019 წელს კარდიოლოგიური მომსახურების ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მერიაში შესული 4 განცხადება არ დაკმაყოფილდა. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დახმარებებზე უარის თქმის მიზეზი „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებებია,¹⁸ რომლის შესაბამისად, კარდიოლოგიურ შემთხვევებთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება სრულად ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის ფონდის მიერ, თუმცა, როგორც აუდიტის შედეგად გაირკვა, საქართველოს მთავრობის აღნიშნული დადგენილება 2019 წლის 6 ნოემბრიდან ამოქმედდა, მაშინ როდესაც დახმარების თაობაზე მერიაში შესული განცხადებები 2019 წლის თებერვლითა და მარტით თარიღდება.

¹⁷ მუდმივმოქმედი საბჭოს 2020 წლის 19 აგვისტოს N5 ოქმი; განცხადება N13348/25, 31.07.2020; განცხადება N14330/25, 14.08.2020; განცხადება N14700/25, 19.08.2020; განცხადება N14046/25, 11.08.2020.

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ნოემბრის №520 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით გაწეული დანახარჯების დაფინანსების დამტკიცებული წესის დარღვევისა და არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტების მიუხედავად, მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმებში არაფერია აღნიშნული მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტების შესახებ, რაც წარმოშობს სუბიექტური გადაწყვეტილების რისკებს.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, შიდა კონტროლის დამატებითი მექანიზმების შემუშავებითა და დანერგვით, უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების დანიშნულებისამებრ, დაფინანსების დადგენილი წესის დაცვით გამოყენება. ამასთანავე, დახმარების თხოვნაზე სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკების შემცირების მიზნით, განცხადებები განიხილოს კომისიური წესით და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

2.6 სასესხო ვალდებულების მომსახურება

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო სესხის აღება და სახელმწიფო გარანტიების გაცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამასთანავე, ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვს სესხი აიღოს საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.¹⁹ სასესხო ხელშეკრულებები ითვალისწინებს სესხის მომსახურებასთან დაკავშირებულ მხარეთა ვალდებულებებს, რომელთა ფინანსურ ნაწილთან დაკავშირებული ვალდებულებები აისახება მუნიციპალიტეტის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტში.

2.6.1 სასესხო ვალდებულების მომსახურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესაბამისად, აუდიტის პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სესხების მომსახურების სახით გადახდილია სულ 22.806.086 ლარი.

ცხრილი №6. 2019-2020 წლებში სასესხო მომსახურების სახით გადახდილი თანხების შესახებ (ლარი)

დასახელება	პერიოდი	გეგმა	საკასო ხარჯი	სხვაობა	შესრულების %
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	2019	167.100	167.066	34	99,9%
	2020	90.200	90.154	46	99,9%
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება	2019	21.123.200	20.200.502	922.698	95,6%
	2020	1.175.000	1.167.611	7.389	99,4%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება	2019	153.000	151.811	1.189	99,2%
	2020	1.041.000	1.028.942	12.058	98,8%
ჯამი:	2019	21.443.300	20.519.379	923.921	95,7%
	2020	2.306.200	2.286.707	18.493	99,2%

¹⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 21.

სასესხო მომსახურების საბიუჯეტო გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებელი, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გეგმური და ფაქტობრივი პარამეტრების მისადაგების შედეგია, თუმცა აღსანიშნავია, რომ სესხის სახით გამოყოფილი რესურსის ათვისება მნიშვნელოვანი გადახრებით მიმდინარეობს, კერძოდ: გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW), ქალაქ ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი სესხი 2019 წელს ათვისებულია 78,9%-ით (გეგმა – 13.487.775 ევრო, ფაქტი – 10.636.045 ევრო), ხოლო 2020 წელს – 65,5%-ით (გეგმა – 16.224.469 ევრო, ფაქტი – 10.630.956 ევრო), ანუ საერთო მონაცემების მიხედვით, 2019-2020 წელს ათვისებული დარჩა 8.445.243 ევრო. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, 2019 წელს თანხები არ იქნა ათვისებული კონტრაქტორი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების გამო, ხოლო 2020 წელს თანხების ათვისებლობა ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით დაწესებულ შეზღუდვებს უკავშირდება. გამოყოფილი რესურსის ათვისების დაბალი მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების შემთხვევაში, რადგან აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადს (Commitment Fee) კრედიტის ათვისებულ ნაწილზე. აუდიტის პერიოდში, ზემოთ აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია 290.371 ლარი. აღნიშნული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი – 255.133 ლარი, 2019 წლის ათვისებლობისათვის დარიცხული ვალდებულების გადასახადია, რაც პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს არ უკავშირდება, ხოლო 35.138 ლარი – უკვე 2020 წლის კრედიტის ათვისებლობას უკავშირდება, რომლის დარიცხვისას გათვალისწინებულია პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გავლენა პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, როგორც პროექტების განმახორციელებელმა ორგანომ, ვერ უზრუნველყო დაგეგმილი პროექტების დადგენილ ვადებში შესრულება, რამაც სესხის სახით გამოყოფილი სახსრების ათვისებლობა და, შესაბამისად, კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდა განაპირობა. აღნიშნული სესხების ფარგლებში, 2019-2020 წლებში ჯამურად გაწეულია 290.371 ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრედიტო რესურსით მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა დროულად უზრუნველყოს პროექტის შესრულების ხელის შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, უზრუნველყოს მოზიდული რესურსების დროული და ეფექტიანი გამოყენება.

2.7 ძირითადი აქტივების აღრიცხვა

2.7.1 ძირითადი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტს ეკუთვნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონება. ქონება და სამეურნეო ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვისას ექვემდებარება შეფასებას. შეფასება ხორციელდება ფაქტობრივი დანახარჯების შეჯამების გზით, ფულად გამოსახულებაში. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმო/ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, რომლის ჩატარება სავალდებულოა სამეურნეო წლის ბოლოს.²⁰

გარემოება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის ბალანსის შესაბამისად, ერიცხება 6087 ერთეული, 865.070.576 ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალების შესაბამისად, 2020 წელს ჩატარებული ინვენტარიზაცია შეეხო მხოლოდ 1355 ერთეულ, 531.905 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივებს, რაც მთლიანი აქტივების რაოდენობის 22,3 %-ია. ამასთანავე, ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლენილია 11 ერთეული 803 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების დანაკლისი და 40 ერთეული აქტივის ზედმეტობა, რომელთა წარმოშობის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ არის აღრიცხული ის ძირითადი აქტივები, რომლებიც მოქმედი ხელშეკრულებების შესაბამისად, დროებით სარგებლობაშია გადაცემული მეიჯარეებზე.

ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვა დაწესებულებების მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენებული შენობა-ნაგებობების აღურიცხველობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა დროული მოწესრიგება მნიშვნელოვანია აქტივების მოვლა-შენახვისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის თვალსაზრისით, კერძოდ:

- მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 13.337.285 ლარის საწყისი ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები, რომელთა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს არაერთი მიმართვის მიუხედავად, მერიამ უძრავი ქონება არ მიიღო. მერიაში აღნიშნულის მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონება, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ნაპირსამაგრი ნაგებობებია, მდებარეობს ზღვაში და, შესაბამისად, ვერ განიხილება, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ქონება.²¹ აუდიტის მიმდინარეობის

²⁰ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება, მუხლი 13 და მუხლი 15, პუნქტი 2.

²¹ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვარი დადგენილია კოორდინატთა სისტემაში და მისი საზღვარი მთავრდება ზღვის კიდის ხაზზე (წყნარი ზღვის პირობებში, ხმელეთისა და წყლის გამმოჯნავი ხაზი).

პერიოდში, აუდიტის ჯგუფმა მერიის წამომადგენელთან ერთად, აღნიშნული ნაგებობების შესაძლო ადგილმდებარეობები დაათვალიერა, თუმცა მდინარე ჩაქვისწყლის სანაპიროზე ნაპირსამაგრი ნაგებობის (საწყისი ღირებულება – 141.250 ლარი) გარდა, სხვა ნაგებობები ვერ იქნა აღმოჩენილი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მერიას მშენებლობის შესყიდვისა და ექსპლუატაციის არც ერთ ეტაპზე მონაწილეობა არ მიუღია და მათთვის უცნობია ნაგებობების დღეს არსებული მდგომარეობის დეტალები. შესაბამისად, ჭოროხის ხიდიდან მდინარის გასწვრივ (ორივე მხარეს) ნაპირსამაგრი კედლის (საწყისი ღირებულება – 12.977.492 ლარი), მწვანე კონცხზე – ნავმისადგომთან ტალღმტვრევის (საწყისი ღირებულება – 97.543 ლარი) და ტრავერსების (საწყისი ღირებულება – 121.000 ლარი) ფაქტობრივი მდგომარეობის გარკვევის მიზნით, აუდიტის ჯგუფის და შემდეგ მერიის მოთხოვნით საჭირო იყო ადგილმდებარეობის კოორდინატების დაზუსტება, თუმცა პასუხი სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოდან არ მიუღიათ, რაც არამართლზომიერი ქმედებების რისკებს წარმოშობს.

- აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა ბათუმის ნაპირდაცვის პროექტი, რომლის ღირებულებამ 55,6 მლნ ლარი შეადგინა. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სანაპირო ზოლზე აშენდა 1750 მ სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობა (ქვის წყობა), დაიგო ბულვარის ახალი საფარი, პლაჟი შეივსო ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით.

ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ წამოიჭრა საკითხი ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პოზიციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი ნაგებობა შედის ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიღება-ჩაბარების აქტით უნდა გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. შემდგომში მერიამ უნდა განახორციელოს პროექტის ფარგლებში შექმნილი ქონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მათ შორის, სანაპირო ზოლის კვება (ინერტული მასალის შეტანა). მერიის განმარტებით კი, შესაბამისი დახმარების გაწევის გარეშე (იგულისხმება ფინანსური და ადამიანური რესურსი, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება) ის ვერ აიღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე. მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული ნაგებობა აუდიტის პერიოდისათვის არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, თუმცა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან შეთანხმებით, დაგეგმილია სათანადო ღონისძიებების გატარება ობიექტის მიღებისა და ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.

აუდიტის მიმდინარეობისას ჩატარებული დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ნაგებობის მოვლა-შენახვა აუდიტის პერიოდისათვის არ არის უზრუნველყოფილი, სანაპირო ზოლში არ არის შეტანილი ინერტული მასალა, რის შედეგადაც ზღვაში აღმოჩნდა სანაპიროს გარკვეული ნაწილი. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსით შექმნილი ქონება, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურას შორის

შეუთანხმებლობის გამო, შეიძლება დაზიანდეს, რაც დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვას, სრულად არ ტარდება ინვენტარიზაცია, რაც ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული 68,8 მლნ ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით არსებული შეუთანხმებელი საკითხები უარყოფითად მოქმედებს აქტივების მოვლასა და სათანადო ექსპლუატაციაზე, რამაც შესაძლოა დამატებითი ფინანსური ხარჯები გამოიწვიოს.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვას; აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ჩაატაროს სრული ინვენტარიზაცია. ამასთანავე, უმოკლეს ვადაში მოგვარდეს სხვა დაწესებულებების დაკვეთით აშენებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან დაკავშირებით არსებული შეუთანხმებელი საკითხები და გამოვლინდნენ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები, რათა აქტივები დადგენილი ვადით ეფექტიანად იყოს გამოყენებული.

2.8 ქონების იჯარით გაცემა

კრიტერიუმი: ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, საიჯარო ქირა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით. ამასთანავე, საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულება ბუღალტრულად აისახება მოთხოვნებში. ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებებით დადგენილი საიჯარო ვადის გასვლის ან პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იჯარით გაცემული ქონება უბრუნდება მემიჯარეს, რაზედაც მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. აქტის შედგენის დღიდან ქონება მემიჯარეზე დაბრუნებულად ითვლება, ხოლო თუ ქონება არ არის თავისუფალ მდგომარეობაში, ითვლება მოიჯარის სარგებლობაში და იგი ვალდებულია შეასრულოს საიჯარო ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იჯარით აღებულ ქონებას არ დააბრუნებს, მემიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაყოვნებისათვის და სხვა სახის ზიანის ანაზღაურება.²²

²² აუდიტის პერიოდში ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები.

2.8.1 ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: მერიის ინფორმაციით, აუდიტის პერიოდში მოქმედებდა ქონების იჯარით გაცემის შესახებ 2005 – 2020 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისად გადასახდელი წლიური საიჯარო გადასახადი 2019 წელს – 1.258.661 ლარს, ხოლო 2020 წელს 1.313.336 ლარს შეადგენდა.

ცხრილი №7. ინფორმაცია საიჯარო ხელშეკრულებების შესახებ (ლარი)

პერიოდი	მოქმედი ხელშეკრულ- ებების რაოდენობა	პერიოდის დასაწყისში გადასახდელი თანხა ²³	დარიცხული საიჯარო გადასახადი	გადახდილი თანხა	გადასახდელი თანხა (ნაშთი - 31.12.2020)
2019	82	3.318.145	1.258.661	1.461.997	1.899.600
2020	87	545.501	1.313.336	545.501	2.450.249

აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების²⁴ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასური შემცირდა 504.253 ლარით, ხოლო 324.240 ლარის გადახდა გადაუვადდა 2021 წლის 1 ივნისამდე.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გაირკვა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერიის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, გადაუხდელობა საიჯარო გადასახადმა 1.068.650 ლარი შეადგინა, ხოლო პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას ექვემდებარება 1.381.599 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 16 შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილია, თუმცა მოიჯარის მიერ ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, მიღება-ჩაბარების აქტები არ გაფორმებულა. ამასთანავე, მოპოვებული ინფორმაციით, მეიჯარე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საიჯარო გადასახადის დავალიანების სახით 1.128.159 ლარი ერიცხება.

მაგალითად, 2009 – 2011 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე 4229 კვ.მ მიწის ფართობი სარგებლობაში გადაეცა სამ იურიდიული პირს,²⁵ 101.600 ლარის წლიური სარგებლობის საფასურის გადახდის პირობით. ჩატარებული აუდიტით დადასტურებულია, რომ აუდიტის პერიოდში მეიჯარეების მიერ სარგებლობის საფასური არ არის გადახდილი და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელმა საიჯარო გადასახადის თანხამ 971.955 ლარი შეადგინა, თუმცა, თანხის გადაუხდელობის მიუხედავად, გრძელდებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობა.

²³ საიჯარო გადასახადის გადაუხდელობისათვის დარიცხული თანხის ჩათვლით.

²⁴ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №20 და №21 განკარგულებები.

²⁵ შპს „დელოფინი“ – 800 კვ.მ, შპს „მტსჯ“ – 1429 კვ.მ, შპს „სექტორი 26“ – 2000 კვ.მ.

აუდიტის სამსახურის მიერ წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრული გადასახადის თანხები მეიჯარესთან არ არის აღრიცხული მოთხოვნებში, რაც ზრდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი გამოყენების ან/და საიჯარო გადასახადის გადაუხდელობასთან დაკავშირებულ რისკებს.

დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერიის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საიჯარო გადასახადისა და პირგასამტეხლოს სახით გადაუხდელია 2.450.249 ლარი, რომელიც ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. დიდი ოდენობით გადაუხდელი საიჯარო გადასახადის აღრიცხვა თანხები კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი გამოყენების ან/და საიჯარო გადასახადის გადაუხდელობის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია

მერიამ გააძლიეროს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობას, შეუსრულებლობის ფაქტების დროულ გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, ბუღალტრულად აღრიცხოს საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახდელები და ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო, ასევე გამოიყენოს ყველა სამართლებრივი საშუალება დავალიანებების შესაძლო მოკლე ვადებში დაფარვის უზრუნველსაყოფად.

2.9 მშენებლობების სახელმწიფო ზედამხედველობა

კრიტერიუმი: მშენებლობა, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და ეხება: ახალ მშენებლობას (მათ შორის, მონტაჟი), რეკონსტრუქციას, შეკეთებას (რემონტი, მოპირკეთება/აღჭურვა), დემონტაჟს (არსებული შენობა-ნაგებობის დაშლა/დანგრევა) და რომლის დროსაც შენობა-ნაგებობის ფუნქცია იცვლება ან/და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გადამეტებულია, უნებართვო მშენებლობაა. სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. თუ ვერ დგინდება უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემის გარეშე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ, ხოლო თუ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საფუძველზე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და

2.9.1 მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში არსებული ხარვეზები

დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.²⁶

გარემოება: აუდიტის პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია 1194 სამშენებლო ნებართვა, მათ შორის, 512 შემთხვევაში ნებართვა გაცემულია ახალ მშენებლობაზე, 709 შემთხვევაში – მშენებლობის ცვლილებაზე და 18 შემთხვევაში – შენობის დემონტაჟზე. აუდიტის ჯგუფმა შერჩევითი წესით²⁷ შეისწავლა ბათუმის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და კომერციული სტრუქტურების მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების კანონიერება. შესწავლის შედეგად გამოვლინდა 13 უნებართვო მშენებლობა, მათ შორის, 4 შემთხვევაში მშენებლობა შეწყვეტილი და მიტოვებულია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალაქ ბათუმში, ზღვის სანაპირო ზონაში²⁸, ოთხი ფიზიკური პირის მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, არანაკლებ 1400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობები. დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ მოწყობილია რკინაბეტონის ფილები, რკინის კონსტრუქციები და ნავმისადგომი (პირსი), სადაც აუდიტის პერიოდში ფუნქციონირებდა კომერციული სტრუქტურა, ღია ბარები და კვების სხვა ობიექტები. აღნიშნულ მისამართზე უნებართვო მშენებლობის ფაქტები აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს ჩატარებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის საქმიანობის 2016–2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც არის აღნიშნული. ა(ა)იპ – მუნიციპალური ინსპექციის მიერ, უნებართვო მშენებლობის რიგ ფაქტებთან დაკავშირებით, მიღებულია რამდენიმე დადგენილება მშენებელი პირების მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უკანონო მშენებლობების შეჩერება. გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, მერიამ ვერ განახორციელა²⁹ კანონით მინიჭებული უფლება, უნებართვოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ. ა(ა)იპ – მუნიციპალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად³⁰, 2020 წელს გამოვლინდა უნებართვო მშენებლობის 60 შემთხვევა, რის გამოც მშენებლობის მწარმოებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები დაჯარიმდნენ 597.000 ლარით, საიდანაც 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, გადახდილია მხოლოდ 78.000 ლარი, ანუ 13.1%. ამასთანავე, დაჯარიმების 42 საქმე გასაჩივრებულია სასამართლოში, ხოლო 9 საქმე გადაგზავნილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში, მაგალითად:

- აუდიტის პერიოდში ჩატარებული დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქ. №11-ში, სს „მეტრო ტერმინალი“ აწარმოებს 6-სართულიანი 7 კორპუსის უნებართვო მშენებლობას, რომელიც

²⁶ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, მუხლი 4; საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი „3¹⁸“.

²⁷ შეირჩა ქალაქ ბათუმის ზღვისპირა ზონა და ფრიდონ ხალვაშის გამზირი.

²⁸ ბაქოს (გოგებაშვილის) ქუჩის №33-ში

²⁹ უკანონოდ მშენებარე ობიექტის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებებით შეჩერებულია ობიექტების დემონტაჟი.

³⁰ ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია 2019 წლის დეკემბერში შეიქმნა

პრაქტიკულად დასრულების ეტაპზეა. მშენებლობის მასშტაბურობისა და ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ მშენებელი კომპანიის 180.000 ლარით დაჯარიმების მიუხედავად, მშენებლობა არ შეჩერებულა და აქტიურად მიმდინარეობს.³¹

ამრიგად, უნებართვო მშენებლობის წარმოებისას, რიგ შემთხვევებში, გამოყენებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელთან დაკავშირებითაც მერიას სათანადო დროული ღონისძიებები არ გაუტარებია, რაც შემდგომში უნებართვო მშენებლობის აღკვეთისა და უკანონოდ აშენებული ობიექტების დემონტაჟის შემაფერხებელ გარემოებად იქცა.

დასკვნა

მერიის მიერ უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება, რაც ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლობიერი ქმედების რისკებს.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უნებართვო მშენებლობის პრევენციას, ასევე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების დროულ გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო და შეჩერებული მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

აუდიტორები

ხელმოწერა

გოჩა შარაბიძე
მთავარი აუდიტორი




მინდია ჯორთმენაძე
უფროსი აუდიტორი



ნინო ჩაგანავა
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



უნა პაპუკაშვილი
აუდიტორ-ასისტენტი



³¹ ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის დაჯარიმებასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები მშენებელმა კომპანიამ გაასაჩივრა სასამართლოში.

დანართები

დანართი N1. ბენეფიციართა არაერთგვაროვანი დაფინანსება.

N	ოქმის ნომერი	დახმარების თხოვნის შესახებ განცხადების ნომერი და თარიღი	მკურნალობის ღირებულება სულ	მერიის მიერ დასაფინანსებელი თანხა	მერიის მიერ დაფინანსებული თანხა	დაფინანსების პროცენტი
2019 წელი						
1	N3.	№4578/25. 12.02.2019	6000	1846,2	1 500	81,2%
2		№4445/25. 12.02.2019	9417	2110,2	2 000	94,8%
3		№4998/25.15.02.2019	935	336,6	150	44,6%
4		№5275/25. 18.02.2019	750	180	150	83,3%
5		№5813/25. 21.02.2019	2870	2009	2 000	99,6%
6		№5881/25. 22.02.2019	1485	1104	1 000	90,6%
7		№6089/25. 25.02.2019	2800	810,9	400	49,3%
8		№6124/25. 25.02.2019	5085	1220	1 000	82,0%
9		№6124/25. 25.02.2019	12433	6259,8	6 000	95,8%
10	N4	№1097/25. 17.01.2019	5000	3000	2 500	83,3%
11		№4613/25. 13.02.2019	8350	2217	2 000	90,2%
12		№5138/25. 18.02.2019	60	54	50	92,6%
13		№54.01/25. 19.02.2019	552	283,5	250	88,2%
14		№4397/25. 12.02.2019	790	450	200	44,4%
15		№4733/25 13.02.2019	940	450	150	33,3%
16		№5807/25. 21.02.2019	2300	606,6	300	49,5%
17		№7248/25. 19.06.2019	1450	1160	350	30,2%
2020 წელი						
18	N1	№376/25. 10.01.2020	5 600	3360	1 400	41,7%
19		№33009/25. 27.12.2019	1 200	960	250	26,0%
20	N5	№13843/25. 07.08.2020	5 000	1967	1 533	77,9%
21		№13561/25. 04.08.2020	4 356	1801	1 500	83,3%
22		№6441/25. 02.04.2020	2 297	620,1	170	27,4%
23		№7488/25. 08.05.2020	5 249	1567,3	620	39,6%
25		№7708/25. 14.05.2020	4 500	2700	450	16,7%
26		№8793/25. 03.06.2020	1 400	576	260	45,1%
27		№10353/25. 22.06.2020	586	527,4	220	41,7%
28		№10117/25. 19.06.2020	1 500	855	320	37,4%
29		№9812/28. 16.06.2020	5 000	1916,6	640	33,4%
30		№9503/25. 11.06.2020	874	217,8	80	36,7%

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE